


# გეგეგე



სამეცნიერო და სალიბერატორო ნახაზიანი გაზეთი. გამოდის ყოველ ვიკტორიულად. თბილისი

№ 20.

მაისის 16, 1893 წ.

№ 20.

**შინაგას:**—გიორგი რომანოვის ძე ერისთავი.—გ. . . ს. (ლეკი) აკაკისა.—ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა, (წვა რილი მესამე) ხომლოლისა.—წყაღდილობა ტფალისში.—კოლუმბის მსოფლიო გამოფენა ჩიკაგოში.—ცალყბა პასუხი, აკაკისა.—პაპის ცრემლები (ლეკი) ზეზვისი.—მკირე შენიშვნა.—\* (ლეკი) ი. ბაქრაძისა.—სომხის ცხოვრებიდან დ. ტრუდავი-თიანცისა.—\* (ლეკი) ი. ბაქრაძისა.—ქართული ალექსანდრია, ა. ხაზანაშვილისა.—გვანცადებანი.

თ. გიორგი რომანოვისძე  
ერისთავი.

**წ**აზოგადლო მო-  
ლვაწეთა, ქვეყ-  
ნისთვის გულ-  
შემატკივართა შორის  
ბევრი სხვა-და-სხვა ხა-  
სიათის, სხვა-და-სხვა  
მიმართულების პირი  
მოიპოვება: ერთნი  
თვალ-საჩინოდ მოკმე-  
დებენ, მათი სახელი  
ყველას ენაზედ აკერია,  
მათს მოღვაწეობას  
ზოგნი შეფერფინით  
შესტკვიან, ზოგნი  
მედგარს წინააღმდე-  
გობას უცხადებენ. ესე-



ნი ხან მქუხარე სი-  
ტყვით, ხან მადლ-  
მოცხებული კალმით  
ებრძვიან წუთი-სოფ-  
ლის უკუღმართობას  
და მათდა მოსაგო-  
ნებლად ნათელს კვა-  
ლსა სტოვებენ ადა-  
მიანთა ცხოვრების ას-  
პარეზზედ.  
არიან სხვანიც,  
სრულიად სხვა ფერი-  
სა, სხვა მიმართულე-  
ბისა, სხვა ხასიათისა.  
ესენიც მამულის ტრ-  
ფობით არიან გამსჭე-  
ლულნი, მათ გულ-  
ში უღვივით ცეცხლი  
მოყვასთა სიყვარული-  
სა, მაგრამ ეს გრძნო-

ბა ჩუმია და უსიტყვო. ნაყოფი მათის გულის ტკივილისა წმირად მხოლოდ მათ სიკვდილ შემდეგა ცხადდება და მეორე და მესამე ჩამომავლობა გაციგებს ხოლმე, თუ ამ თვალად თითქო უწინარ აღიამინაწი რაოდენი გრძნობა ტრიალებდა, რაოდენი ლტოლილდებდა ქვეყნის სიკეთისადმი.

ამ მეორე მიმართულების პირთ ეკუთვნოდა თ. გიორგი რომანოზისძე ერისთავი, რომელიც ღრმა მოხუცებულებში გარდაცვლილი ტფილისის საზოგადოებამ „მარზან“ წინ ნოემბერში დიდის ამბით გაცვილა სოფ. ოძისში, საგვარეულო საიანეში დასახულაებდრად.

თ. გიორგი ერისთავი იყო სეფე-წული, მეფის ირაკლის ქალის ანასტასიას შვილი, დაიბადა 1812 წელს, თებერვლის 12-ს, სწავლა მიიღო ჯერ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მერე პეტერბურგის სამხედრო სკოლაში და მასუკან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა სამხედრო სამსახურში, რომელშიაც დიდად დაწინაურდა. სხვა-დასხვა ომებში და სამხედრო გამგებებაში მხნედ მონაწილეობის მიღების გამო, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო (38 წლისა), როცა ლენერალობა მიიღო და ამ დიდ ხარისხთან ერთად ჩააბარეს ატამანობა. კავკასიის ყაზახის ჯარისა და მასუკან ლენერალ-ლტენანტრობა ქუთაისში. 1881 წელს მან მიიღო სრული ლენერლობა და გარდაიცვალა ყოველ გვარის ღირსებითა და ორდენებით დაჯილდოებული,

ჩენი ხალხი მას იცნობდა როგორც „ატამანს“, როგორც დიდ-კაცს, დიდის მამულისა და შეძლების პატრონს, მაგრამ ათასში ერთმა არ იცოდა, რომ ამ დიდ-კაცს დიდი გრძნობაც ტრიალებდა, დიდის მამულის სიყვარულით უღვივად გული. ათასში ერთმა არ იცოდა, რომ ეს კაცი თითქმის აღსაყვ ყოველ გვარის ქვეყნიურის სიკეთით, თავის თავს კმაყოფილს ვერა გრძნობდა და გული სტკიოდა, როცა ხედავდა თავის სამშობლოს დაქვეითებას, თავის თანამემამულეთა უსწავლელობას, უკან ჩამორჩენას და აი მას ჩუმად, ოთხ-კედელს შუა შეკეტილს, თვალთუწინრად მოსდის პირველი აზრი სათავად-აზნაურთა სასწავლებლის დაარსებისა ჩენის შვილებისათვის, მეგობრული ბაასის დროს დიმიტრი ბაქაძესთან აქეზებს მას, გამოსცეს ვახუშტის ისტორია და უხედა უხსნის თავის ქისას ამ შრომის დასაბეჭდად და გამოსსცემად; იმას მაგრად უჭირავს ხელში თავის საგვარეულო მამული, სხვებისაგან არა ჰფლანგავს, არ ავირავებს, არა ჰყიდის; პირაქით უმატებს, აღიდებს, ამრავლებს და ამრავლებს არა მარტო იმიტომ, რომ

თავის მემკვიდრეებს ფუფუნებით ცხოვრება გაუღვივოს, არამედ იმისთვის, რომ თავის კეთილი გრძნობა, სამავალითო აზრი თავის შვილსაც გადასცეს; გადასცეს მკვიდრად, შეურყვევად, ჯეროვან დროს განსახორციელებლად...

რა იყო ეს აზრი—ყველამ იცის ახლა საქართველოში: ამ ჩინებულის გრძნობა-გრძნობის პატრონმა კაცმა ანდერძად დაუდლო თურმე თავის ერთადერთ შვილს თ. ზაქარია ერისთავს ჩენი საგვარეულო მამული ოძისი გადაეცემა საზოგადოებრივ საქველმოქმედო განზრახვით; იმ განზრახვით, რომ ამ მამულში გვიმართის სამეურნეო სასწავლებელი ან სამავალითო ფერმა და ამით ჩენს მეზობლებსა და თანამემამულეებს მიეცეთ შეძლება ისწავლონ მამულის მოვლა, მამულის ფასი, მამულის სიყვარული. ეს ანდერძი ქალაღმზედ დაწერილი არ ყოფილა, „ოკრუწერი სულს“ არ დაუმტკიცებია, მაგრამ დაწერილი იყო ამ ძვირფასის მამის შვილის გულის-ფიცარზედ და დამტკიცებული იმ მაღალის გრძნობის ჩაგონებით, რომელსაც კაცობრიობის სიყვარული ჰქვია.

მამის ანდერძი შეიღმა შესრულდა და ამ სამავალითო, დიდად სწორედ სამავალითო საქმით ქართველთა შორის, დაიშახურა ჯეროვანი მადლობა და თანაგრძნობა საზოგადოებას; მაგრამ დიდად და დიდად შესცდება, ეინც კი წარმოიდგენს, რომ ან მამის, ან შვილისათვის საჭირო იყოს მადლობის გამოცხადება. სათავად-აზნაურთა კრებაზედ, რომელიც ამ შემოწირულობის გამო მოხდა, ერთმა წარმოსთქვა ეთხოვით თ. ზაქარია ერისთავს ჩენ შორის მობრძანდეს და ამ თვალდაზნაურობის „დაღესასწაულოს“ დაესწროს. ამ პირმა არ იცოდა, რომ ამისთანა კეთილის მყოფელნი მადლობისა და დღესასწაულისათვის არ მოქმედებენ; რომ ამისთანა შეწირულობას ისინი სიამოვნებითა სთმობენ და ყველაზედ მეტად მათთვის საძინელო და შესაწუხარი საქვეყნოდ გამოცხადება და მადლობის მიღება. ესენი ისე სათუთად ეპურობიან თავიანთ კაც-მოყვარულ განზრახვას, რომ რცხვენიათ მათის გამჟღავნებისა და წამოწირულობის კიდევ, თუ უღრუველ სადმე მათი გულის-პასუხი უტყებულად წამოსცდათ.

დასასრულ მოგივარონთ ერთი გარემოება თ. გიორგი ერისთავის ცხოვრებიდან. როდესაც ყუბანის ოლქში ატამანად იყო, ას ვერსზედ არხი გათხრებინა, წყალი გაიყვანა მდინარე მალქასა და ყუმას შუა, მრავალი უნაყოფო მინდორი გაანაყოფიერა და ხალხს დიდი შემწეობა და სიკეთე აღმოუჩინა. ამ სურვილს

ხალხის ცხოვრების განქარებისას ეტყობა მკვიდრად ჰქონია ფესვები ვადგმული განსწვნიებულის გულში, თუ კი ორმოც წელს შემდეგ იმავე აზრით გამსჭვალული იმისი შვილი სწირავს საგვარეულო მამულს თავდაზნაურობას, იმ მამულს, რომლის გვერდითაც მარხია ძელები იმის ძვირფასის მამისა და ამით ღირსეული შვილი ღირსეულს ძეგლს უგებს თავის ნეტად აღსახსენებელს მამას.

მიტომ რომ თვალს ვერ გიმართავ, შორით ეუნდები ცქერასა!... ლამის დავქარგო გონება, ვადაქვეე გულისძგერასა.

აკაკი

ჩემი ლიბერატორის მღვთმარტოვა

წერილი მესამე.

ბ . . . . .



ბნლოს ხარ—თვალს ვერ გიმართავ, შორით ეუნდები ცქერასა; ლამის, დავქარგო გონება, ვადაქვეე გულისძგერასა!...

შენ კი მგვრძალვი ბეჩეხსა, როგორც წიწილა ძერასა... შენს ღმერთს მიმადლე!... დაუდევ, ყური გლახ-გულის ძგერასა.

ნუ გამხდი ნაცარ-ქეჩიად, ნუ დამვიამ ციყსა კერასა; ხედ ნუ დამყარი ნაცარსა... მიხშირებ გულის ძგერასა!...

ნუ მაწყველინებ გაჩენას, სიცოცხლეს, ბედის-წერასა!... თანგრძობა უნდა მაღამოდ სწეული გულის ძგერასა!...

ქვეყნის მკურნალი შევჭარებ, მაგრამ ვერ მიხედენ ვერასა; სხვა-და-სხვა მიზეზს ადებდენ ამ ჩემი გულის ძგერასა.

აღლეგებხა მიშლიდენ, სიცოცხლს, ტირილს და მღერასა; მაგრამ ვერ არგო ვერც ერთმა შეღალხულ გულისძგერასა!

ყური დაეუდევ მაშინ მე ჩემი სიმების ძღერასა და თვითვე მიხედვი რაც იწვევს ამ ჩემი გულის ძგერასა:

ბრალი არა აქვს ლამაზ ქალს შევეგრძმანს, არცა ქერასა!... მარტო შენა ხარ მიზეზი: მიხშირებ გულისძგერასა



ბოვრებამ, სამწუხაროდ, ვერ გამართლა ქართველთა ლიბერატორების იმედი. ჩვენს ლიტერატურას სრულიად სხვა დრო დაუდგა შემდეგ. ჩვენს ლიტერატურას მე-80 წლებშიც, მართალია, დაეტყო სიცოცხლე და ჟღერდა-გაზვეთებში მომუშავე თითო-ორიოლა ნიჭიერი ყმაწვილი კაცი დაადაგა იმ წმინდა საერთო გზას, რომელიც აღინიშნა მე-60 და მე-70 წლების მოღვაწეთა მიერ, მაგრამ ეს სიცოცხლე და მოძრაობა დღენაკლული შეიქნა. შეუბრალდებელმა გარემოებამ ჩვენის ახალის ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის აღორძინების საქმეს კლანჭი გამოჰკრა და სხვა-და-სხვა აზრთა და იდეების გამოარკვევა სრულიად შეჩერდა... მიიმე და მწარე საზოგადო ყოფიდა ათავალწუნა ერის გულ-შემატკეიართა აზრი, გრძობა-გონების ქეშმარიტი და სპეტაკი ნამოქმედარი და მთელი თვალ-გადასაელეგელი სიერცე აზრის ვარჯიშობისა სრულიად ჩაბნელდა და... ვამეფდა წყევლიად, სრული სიჩუმე... განა საფიქრებელია, რომ ამისთანა დროს რაიმე ხალისი და მხნეობა დაეტყოს გულსა კაცისასა? ამ დროს გული გრძობის საშინელს, ღრმა იწუხარებას, აზრი კაცისა თავის შინაგანს არსებებს უკვირდება, უღრმავდება, ყურს უგდებს თავისი საკუთარი გულისცემას, ტკივილს და ცდილობს, როგორმე გააქროს ეს მწარე და აუტანელი გულისტკივილი. მაგრამ როგორ? რასაკვირველია, თვით გულ-გახეთქილს მოღვაწეს არ ძალუძს მარტო თავისი ძალ-ღონით და აზრით მოსპოს ის რთული გარემოება, რამაც გამოიწვია და წარმოშობა საერთო, საზოგადო „გულისტკივილი“ და „შავი ფიქრები“!... მაშასადამე, რა უნდა გააწეოს გამწარებულმა კაცმა, როგორ უნდა ემსახუროს თავის თავსა და კაცთა საზოგადოების ინტერესების დაცვას, სასურველი და ნაყოფიერი მოქმედებით? ამ დროს მგრძობიარე გულის პატრონი ნაღვლიანად მოსთქვამს, „ტრემლები“ წვეთ-წვეთად მწარედ ჩამოსდის და შავებში გახევეულ ჭირისუფალსავეით ხშირად სტირის, რომ სხვას, მეორე აღმანიან ნახევრად მაინც ვადასცეს თავისი გულის ტკივილი და აუტანელი ყოფა.

ღიად, ცხოვრებამ მოჰკვეთა ქართველთა აზრი და მოძრაობის გზა მოეპოა ლიტერატურასაც... მე

80 წლები, საზოგადოდ, სხვა საგულისხმო ამბები-  
თაც აღინიშნა და დადგა ნამდვილი „ქამთა სიყვე“.  
შორეულ ქვეყნიდან ქარმაც სხვა გეარად დაუბერა და..

„ღაგეი ჩამთრდა, სუსსმა დაგპკრა,  
ტებილ-ტაროსა შეგპნებადა  
და უწყალო ქარმასხადმც  
აიორკება თვისა ძალა...“

სწორედ ამავე დროს ლიტერატურის სარბიელ-  
ზედ გამოსვლა სცადეს ისეთებმა, რომელნიც თავიანთ  
თავს, აგრე წოდებულ, გლეხთა წარმომადგენლად  
სთვლიდენ. გლეხთა, სოფლის მშრომელ მესაკუთრე-  
თა ინტერესებს, როგორც წინა წერილშიაც იყო გან-  
მარტებული, იცადენ ქართველი ლიბერალებიც და;  
ამაშხალდნენ, ამ შირთი ახალი არა უთქვამთ რა იმათ;  
რომელნიც გლეხთა განკარგულებას და გაუპირატე-  
სობას ჰქადაგებდენ. მაგრამ, აქ თუ ეხსენებოდა ამით,  
ერთი იმიტომ, რომ აღინიშნოს დრო, როდესაც  
სცადეს გამოსვლა და, მეორედ, გამოეარკეთით მათ-  
თვე დასახსათებლად ის ჭკუა-გინების სრული გამო-  
თაყვანება, რომელიც მათი წყალობით თავზედ დაა-  
ტყდა ჩვენს ლიტერატურას.

ტეტიობის - მოტრფიალენი, რომელთა აზრს  
ხელს უწყობდა ცხოვერების „უწყალო ქარიშხალიც“,  
სრულიად უმეცარი ხალხი იყო ჩვენში. ამით არა-  
ერთი კოდნა და განათლება არ ჰქონდათ მიღებუ-  
ლი, ვარდა იმისა, რასაკვირველია, რომ სადაღაც ან-  
ბანი ესწავლათ და ზოგიერთს იმათგანს ნება-რთევაც  
აეღო, რომ გვეყვე ანბანი სოფლის ბალდებისათვის  
ესწავლებინა. ეს „გლახატა სიბრძნე“ კიდევ მით  
იყო აუტანელი, რომ სრულებით არ გაჩნდათ ნასა-  
ხაც კი უბრალო, ჩვეულებრივი ზდილობისა, ნიჭი-  
სი; ხოლო თავებლობა და ბავშვობის სიამაყე კიდევ  
ჰქონდათ. ერთს სიამარცხებინა ქართულის ყურნალიში(1),  
თითქოს ქართველთა თავის მოსაჭერლად, თავი მოე-  
ყარათ და საბუღარი დაეღვათ იმათ... ტეტების-მო-  
ტრფიალეთა პროგრამა იმდენად მარტივი და ღარი-  
ბი იყო, რამდენადაც მარტივია და ღარიბი თვით  
ბედისაგან დაჩაგრულ გლეხთა მოთხოვნილებაც. ჩვენ ე-  
ბური ტეტების-მოტრფიალენი უარსა ჰყოფდენ ქარ-  
თულის ლიტერატურას, ყბად-აღებთა და ლანდელით  
იხსენებდენ ქართველ მოღვაწეთა ჭკუის ნაშრომს, რად-  
განაც, წარმოიდგინეთ, ლიტერატურაში ემუშავენთ ის-  
ეთებს, რომელთაც შემდეგა ჭ მოკლა ნებას აძლევდა  
ასეთის მუშაობისათვის, ე. ი. თავად-აზნაურების შეი-  
რების და ანა ქართველ ტეტების, გლეხკაცებს. ისინი და-  
სკინოდენ ჩვენს სასიკატულო პოეტთა და ლიტერატუ-  
რებს, რომელნიც წარმატებულ ერთა პოლიტიკურს  
ცხოვერებას თვალს ადევნებდენ, საკონსტიტუციო და  
საპარლამენტო ვითარებას უყვირდებოდენ და ქარ-

თველთა ჭკუა-გინებას აცდენდენ ეითომ ტყუილ-უბ-  
რალო და საჩხირედელთა საქმეებზედ. ტეტობის  
მოტრფიალენი ზიზლით უყურებდენ პარლამენტარულს  
ყოფა-ცხოვერებას, ეითარცა პირში შეიღს ბურჟუა-  
ზიისა და ლიბერალობისას. იმათ მიუტეტებელ დანა-  
შაულად ჩათვალეს ქართველთა ლიბერალებს საზო-  
გადო პოლიტიკურს საქმეთა შესახებ ბუბობა და ფიქრია.

ქართული ენის შესახებ ზრუნვა და ბაასი ჩვენს  
ბედში მყობ ერისათვის სრულიად გაუგებარი იყო იმ  
უნიკო და უმეცართათვის. იმათი სიტყვით, ჩვენს  
ენას არავინ ემუჭკებოდა, არავინ გვედევებოდა. ისტო-  
რის, არხეოლოგიის, ძველი, კლასიკური ლიტერა-  
ტურის გამოძიება, შესწავლა უარ ჰყვეს. მთელი დე-  
და აზრიც პატრიოტობისაც უარსაჰყვეს, შეღახის თვით  
უღიღესი და უწმინდესი გრძობა აღაძინანსა და ჩვენი  
ლიტერატურა აღიარეს უსაქმურ ბულეფარ-ბაშთა და  
ჯიუტ ავად-ყოფთა ჩხირკედელთაბად. ეს კიდევ არას-  
ფერი. ტეტობის-მოტრფიალენი უარსა ჰყოფდენ არა  
თუ ქართულს ლიტერატურას, თვით განათლებულ  
ერთა ლიტერატურასაც კი და, უკანასკნელ, წარმოიდ-  
გინეთ, შეგნავურებსაც, რადგანაც საუჯაროდ გაი-  
ძახოდენ, რომ ჩვენ არ გვედარინ - ბოკლებოა...  
საოცარი და გასაშტერებელი ამბავი კიდევ ის იყო,  
რომ ისინი გლეხის, ტეტის გულის დარდის გამოხა-  
ტებას ანაცვალდებდენ მთელს კულტურასა და ისტო-  
რიას... ისინი, რასაკვირველია, ჩაცმა-დახურვითაც  
ქართულად ირიგებოდენ, მაგრამ იმათი ტრანსამო-  
სი ქართველი გლეხის მოჭუნულს ჩოხას სწორედ  
იმდენად შეეფერებოდა და მიემსჯავსებოდა, რამდენ-  
ადაც, ესთქეთ, მთქნარება ჩინელ მანდარინისა ამ  
ჩვენს საუბრის საჯანსა. გრამატკის მხრითაც შეცდო-  
მებით სასვე თვითან „ნაწერებში,“ ისინი ტეტის  
კილობს და სიტყვებს ხმარობდენ და სურდათ ჩვენ  
თვალს წინ დაეხატათ გლეხი, ეითარცა ღიდი სახ-  
რიანობისა, ღრმა ფიქრისა და სრული, უდარესი ზნეო-  
ბის წარმომადგენელი. იმდენი ნიჭი, განათლება, და-  
კვირვება და გამოცდილება არა ჰქონდათ ჩვენს გლეხ-  
თა გაბატონების და გაუპირატესობის მიმდევართ,  
რომ დაენახათ უტყუარი სურათი შრომის მწარე ყო-  
ფისა, რომელსაც თვით მათივე შეყვარებული გლე-  
ხი განვითარების უკანასკნელს საფერებზედ დაეყენე-  
ბინა. და ამ უკანასკნელს ისტორიულს გარემობას  
იქამდის მიეყენა სოფლად დაბინადრებული გლეხ-კა-  
ცობა, რომ იმათთვის კიდევ რომ ნება მიეცათ, დარ-  
წმუნებელი უნდა ბრძანებულთიყავით, დიდი ოსტა-  
ტობითა და დაუზოგველობით გამოიყრებდენ სების  
„ტანჯვასა და შრომას“ და სხვაზედ ნაკლებ წურბე-  
ლობას არც ისინი გამოიჩენდენ. იმათის აზრით,  
გლეხი რომ ნივითიარად ხელ-მოკლე არ იყვეს და  
ურუადლებას ვაქცევდეთ მის პირფანდელს ეკონომიურს

ცხოვრების ყუთიანობას (საქართველოში სათემო მფლობელობის ნიშნებსაც კმაყოფილებდნენ, რასაკვირველია, და იცით, რა გამოჰყავდათ აქედანა), აზრიანობას და შროს, დერწმუნდებით, რომ გლეხი დიდი, დაბრძნებული მოქალაქე ყოფიდა საზოგადოეკონომიკის რთულსა და საქირ-ბორიჯო ვითარების საქმეში. ალბად, ერთის მხრით, ამით თუ აიხსნება და, მეორეს მხრით იმითა, რომ გლეხი საპალიტიკო საქმეთა შესახებ სრულიად გაუგებარია, გულ-ა-ტრუებული და კონსერვატორიკ, — რომ ტეტიობის-მოტრფილენი საპალიტიკო საქმეთა გამორკვევას ლიტერატურაში უარს ჰყოფდნენ ქართველთათვის და გლეხკაცის, საქართველოს დაბ-სოფლის წერილმანსა და უშნიშენლო აზრებს უეკიკიტებდნენ. ამ გვარ წერილმან ამავეთა კირკიტე, რემორტრეული უაზრო მოქმედება, გაუფქავატებული მათი საქციელი სრულიად შეეფერებოდა იმათ მართლად და დაწერილმანებულს, დაქუქავატებულს ნიქსა და მოუშვადებლობას... და, აჰა, საქართველოს მტრსაც სწორედ ეს უნდოდა...

ტეტიობის-მოტრფილით ვერ შეგვნოთ, რომ შრომის ინტერესებისა და ამ ინტერესების სამართლიანი ვითარება მხოლოდ მოქალაქეობისა და მრეწველობის ნიადაგზედ აღმოცენდა, დაისახა და სოფლის მკვიდრთათვის, განსაკუთრებით გლეხთათვის, სრულიად უტნობი ხილი იყო ეს მიმემა და საქირ-ბორიჯო სავანი. იმათ ეგონათ, რომ დღევანდელ გლეხის მალად გონიერებასა და უარეს ზნობას განახორციელოს ამ ქვეყნად უმაღლესი ფორმები, თუ მას ჩვენ არ გადავივლებით და ხელს არ შევუშლითო. რაკი ტეტიობის-მოტრფილენი საფათერკოდ ერთხელე წაიტყუა ამ უაზრობამ, ისინი, რასაკვირველია, იძულებულნი შეიქნენ ჩვეულებრივის სიყოფიითა და ტე-ალეულობით უარ-გეთ განვითარებულთა კაპიტალისტური წარმოება. და, წარმოიდგინეთ, ზოგი ამ უმეცართავანი ამაზედელ აღარ შეჩერდნ და ჩვენებურს, ნამდვილს ყიზილბაშურს ჩარჩობას, წურბელობას ამჟობინებდნენ, ვიდრე ევროპიელ შეძლებულ მრეწველთა ჩვენში შემოსვლას და ფხვის მოკლედებას (იხ. „იერია“ 1888 წ.). მგზავრის წერილები ბაქოშიც, — სანოსი). მსგავსივე ჰუკის პატრონი, ვილ-ა-სანდალა კიდევ უფრო შორს მიდიდა და მის თანამოაზრეთა, ამფსუნებს, უსაყუედებდა, რად მილალატეთ და გადამიდექითო... ნება გვიბოძეთ, თავი გავინთავისუფლოთ მაგალითების მოყვანისაგან. ბეჭედი დახასიათება ჩვენ არ დაგვირდება, რადგანაც, ვინც ჩვენს მდგომარეობას უეკირდება, ყველას ესომება ეს გულ საქალეი სურათი ჩვენი ლიტერატურისა. აქ იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ ტეტიობის-მოტრფილენი იმას ჰყოფდნენ უარს, რაზედაც დაახლოებულნი წარმოიგენაც არა ჰქონდათ. ამით, რა-

საკვირველია, არ იცოდნ და ვერც წარმოიდგენდნ, რომ განვითარებულს კაპიტალისტურ წარმოებას, ბეჭისაგან ბეჭ ნაკლებუფენებასთან ერთად, ბეჭი, მეტის მეტად დიდი, ხელნასაკიდებელი ღირსება აქვს ისეთი ღირსება და უპირატესობა, რომელთაც თვით ბუნებით, თავის თავად, მოკლებულია ერთა სხვა გვარი, წინანდელი ყოფა-ცხოვრება: ცხოვრება დამყარებული მოაზრებას, ბატონ-ყოფასა და ჩარჩების, წურ. ბელათა წარმოებაზედ. შესაძლებელია, კაცმა უარ-ჰყოს წარმატებულ ერთა დღევანდელი მოქალაქეობა და მრეწველობა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძველთვის ყოფასთან ერთად, თანამედროვე უსი-ერთობასაც დაუკარგავს შრო საქმეთა წარმოებისა, ულადატნია თვით მოქალაქეობისა და მრეწველობის, საერთოდ, მრთელი კაცობრიობის ქეშმარტის განვითარებისათვის. ამ დროს, არა თუ შესაძლებელია, სავალდებულო, უსაქირაგის მოთხოვნილება, უარ-ჰყოს კაცმა იგი და დიდს სულ-დათქმითა, შეჩერება, ქუუ-გონებით და გამოკიდობით ეცადოს, რომ განახორციელოს უფრო უკეთესი და უმაღლესი ფორმები სამოქალაქო ცხოვრებისა. ამის მავალითს დღეს ევროპის დასავლეთი წარმოავდიდენს... ცხოვრებაში რომად ჩახედულ და სრული ჰუკის კაცისთვის დღეს წარმოუდგენელია, წარმატებულ ერთა წარმოება ქართველთა გაძალდებულს ყოფას მიატოლოს. მაგრამ მიტოლება კიდევ არაფერი; უარ ჰყოს ის წარმოება ქართველთათვის მაშინ, როდესაც ჩარჩებსა და წურბელათ არ დარჩენიათ ჩვენი ხალხი სისხლით ზორცამდ გაუტყავებელი. მაგრამ ამასაც თქვენი ჰირი წაუთა. სულს მაინც რასმე რკებებს ჩვენი ესეთ ყოფა? ან სამოქალაქო შროსა და დისკიპლინას გასწავლიდეს!..

ამ ტეტიობის მოტრფილეთა წყალობით, ჩვენი ლიტერატურა ისე მისუსტდა, მიილია და განადგურდა, რომ თუ იგივე ქართველნი ლიბერალნი არ მიშველდოდნ თავის საყვარელს საგანს, თქვენი მტრია, ჩვენს ვითარებას მწარედ დღე დადგებოდა.

თუმცა ტეტიობის მოტრფილელ გლეხს კაცობაზედ ბეჭის ჰყვირდა, სოფლის მესაკუთრეს თავს ეცებოდა და დასტრიალებდა, მაგრამ საქმათ იგი უფრო ესარჩლებოდა და იცავდა სოფლის ბურჟუაზიისა, ხელო-სანთა და წერილ-ფება მოვაჭრეთა ინტერესებს. დემო-კასები, სასოფლო მალაზიები და ბანკები, რომელთა შესახებ წერით ყურთა-სმენა წაიღეს წინად და შარ. შან კიდევ მაჩანებლმა თავი მოგვაგებნა თავის უთავ-ბოლო, უსისტემო წერილებითა, ნაყოფია შეუსაბამო და უტოპიური აზრისა; ხოლო ხელსაყრელი და სახეირო კი უფრო ჩარჩისა და წერილ-ფება „ბურჟუებისათვის აკი“ თქვით, ტეტიობის მოტრფილენი სრულიად მოუშვადებელი იყვენ და ამიტომ, რასაკვირველია, ვერ

ინობდენ ბურჟუაზული ეკონომიის ანბანს, რომელიც ამბობს, რომ აყვებება ჩართა და წერილ-ფეხა „ბურჟუების“ ცხოვრებისა იწვევს სასტიკს ბრძოლასა და კონკურენციას თვით ამ წერილდებმა „ბურჟუებს“ შორის, და, ბოლოს, ეს დაწვეული კონკურენცია ისეთი ხილია, რომ ცხოვრება თავისდაუნებურად მიაწყვეტს ისეც იმ უდიდეს და განვითარებულ კაპიტალისტურ ყოფას, რომლის შიშით თმა ყალბზედ ეღვათ და თავზარი ჰქონდათ დაცემული ტეტიობის-მოტრფალითა...

მეტის-მეტად ძნელი გამოსარკვევია, თუ რამ დაბადა ჩვენში, ჩვენს საქართველოში, ეს ტეტიობის-მოტრფალიენი. მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ამ გვიარაზრი უფრო ნაყოფი იყო ბრმა მიზანებისა. რუსეთში, ჯერ კიდევ მე-70 წლებში, ერთი თაობა, ვერც წოდებული, „ნაროდნიკობა“, რომელმაც ზურგი შეაქცია დასავლეთის ცივილიზაციასა და პოლიტიკურს ვითარებას, დაადა იმ ნიადაგზედ, რომელზედაც რუსეთის სლავიანო-ფილები იდგენ სულ წინდ. ხოლო სახელმძღვანელო აზრად აღსარებული ჰქონდა „ნაროდნიკობას“, აგრე წოდებული, უტკობურ პერიოდის სოციალისტთა ბუნდი მოძღვრება. რუსეთის ყმა-წილ-კაცობას სულს კეთილ თვისებასთან, კეთილ განზრახულებას უღვივდა, რასაკერაეღობა, გულში. მაგრამ ცარიელს კეთილ განზრახულებას, სულის სიწმინდეს, გულის სისხტაკეს რა შეუძლია, რის გაწყობა ძალ-ღუს ცხოვრებაში, თუ მთავარი აზრი, მეცნიერებაზედ დაყარებული ბრწყინვალე იდეა არ არის მტკიცედ და ბეჯითად შემუშავებული...

გარდა მიზანებისა, ჩვენში ტეტიობის-მოტრფალიენი ფებს იკიდებდენ თვით ჩვენი ცხოვრების ჩამორჩენილს სოფელთა წრეშიაც, მაგრამ, როგორც ეტკით, ლბეალოვებს შემდეგ, ჩვენს ლიტერატურას ახალი სახელმძღვანელო აზრი არ შეუმუშავებია, ინტელიგენციის ცხოვრებას ასაკფერი არ დასტობია და მხოლოდ გაკვრით და ისიც მიზანით ოდნედა აღინიშნა ჩვენში გლზობის\*) გადმეგრება და ტრფალი. ამიტომ მკითხველი ნუ დაგვედურება, ნუ გვისაყედურებს, რომ იმისი ნამდვილი, ტპიური სახე სასურველად ვერ აღენიშნეთ და გამოებატეთ ამ წე-

რილში. ჩვენ კი, პირადად, გვგონია, რომ მეტიც ვილაპარაკეთ ამ სავანზედ...

ჩვენმა ცხოვრებამ უარ-ჰყო და შორის სრულა ბავშვური და დღე-ნაკრული სურვილი ტეტიობის-მოტრფალიისა, რომელსაც უნდადა თავიდან აეცილენბინა „გავერობილება“ ჩვენი ქვეყნისა და თავი თვისი წერილ-ფეხა ევაკრთა, ჩართა და გლვება ქაობში შეეფარებინა... ამ უკანასკნელი ათის წლის განმავლობაში, ესე იგი, მას აქეთ, რაც დაიწყო და აყვება სამი ძლიერ რთული წარმოება: ქვა-ნახორისა, შავი ქვისა (მარგალიცისა) და ნავთისა, რაც რკინის გზების გაყვან-გამოყვანამ გაჩაღა საქართველოში აღებ-მიცემობა პურისა, სიმინდისა, ლენისა და სხვა და სხვა ლითონებისა, რომელთაც უმნიშვნელო სახელი არ დაუმსახურებია მსოფლიო ბაზარზედ — ეკონომიური ყოფა ჩვენი ერისა სრულად შეიცვალა წინ წაიდა და საქართველოში, ვისაც კი ანდა სიცოცხლისა, საფიზლისა და ნიჭის ნახასი, ყველა „გავერობილებს“ გზას დაადავა. ასე გასინჯეთ, ჩვენი ყბად აღებული და უზრუნველი თავდა-ზნაურობაც კი გამოფიზლდა... ამის შემხედვარე ტეტიობის მოტრფალიენი თვალ-დაწყეტონი და ტენი გაშეშებულნი იდგენ უმეკარნი ცხოვრების მრავალ გვარ მოვლენებათა ვითარებისა, ერთს ადვილს გაქვავებულიყვენ... ეკონომიურმა და საზოგადოებრივმა წარმატებამ ერისამ გაზეთო მუჯღანდენი სრულად გამოაქვეყნა, გამოცარიელა. იღვს შვერლობის საგანი ქუჩა და მვიდანი და ჩვენ თვალს წინ მგვაზეთენი რეპორტიორობით ირჩენენ თავს, და თვით ბნი Plebs-ის სიტყვით, „ტაკიმასხარაობენ და მერიკაობენ, აცინებენ და ახარხარებენ მკითხველსა\*“) ახლოა — განაკობოს აი, გვეცე Plebs-ი — ოხუნჯობისა და გონება-მახეილობის ადვილი ლანძღვა-ორევა ამ დაიჭირა და გამეფდა აგრედ-წოდებული „ნადირის წამოადგება“... ბნი Plebs-ი, ლთის წინაშე, ზემარა და გულ-უზრყვილო კაცი ყოფილა და, სულს ქვეშე, მართალს გვეტყვის: „ლანძღვა-ორევას“ და „ნადირის წამოადგებაში“ მას წილი არ უღვს?... მაგრამ, ან კი რა ჰქნან! თურმე „ახლა ისეთი დრო დადგა, რომ გვალბა გზეობა მკე-

\*) მაშასადამე, შემდარი არის, ვინც იხმარს ქართული ლიტერატურისა და ინტელიგენციის ვითარების კვლევის დროს სიტყვას: „ძველი და ახალი თაობა,“ არავითარი ახალ-თაობა არ იყის ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ, თაობა კებულა იმ ერთ სულ და ერთ აზროვან მოღვაწეთა, რომელია გონებითი და ზნეობითი ძალ-ღონე შექნიერებასა და ცხოვრებას არ ჩამორჩენია და ახალი დედა-აზრი, ახალი პროგრამა შეაქვს ლიტერატურასა და ცხოვრებაში. თაობა ებღერ როგორც არის, შეიძლება, ვეწოდოთ ქართველთა 60 წლების ლიტერატურას, შემდეგ ჩვენმა ცხოვრებამ არ იყის, იგი რა ხილია.

\*) მე აქ მოწამედ მომავს თვით ის Plebs-ი, რომელიც ცხოვრების იერიების და რუსთა „САМОБЛТНИК“-გვალავი ფიქრობს, რომ კულტურა და ცივილიზაცია „გააღლებული“ ყოფილა იქ. სადაც ერთს ერს მეორესთან მისვლა-მოსვლა არაა ჰქონია და მისი აზრით „იონეთის კულტურა ბევრში არ ჩამორჩება ევროპულ კულტურასა, აი, მართლა რომ „გააღლებული“ აზრი ამ აზრს აღიარებენ თურმე თვითონ ევროპელები, რა თქმა უნდა, ისეთი ევროპელები, როგორც თვით Plebs-ი ბრძანდება ჩვენს კურთხეულს საქართველოში. ცილობას, რასაკერაეღობა, არცერთი ქვეთა მსოფელი არ გაუწევს ამ ნამდვილს, სრულს და ჰეშპირტს „გააღლებულს“ კლდეურს აზრს.

თხველის ფეხის ხმას უნდა ჰქვეყნს. დღეს მკითხველი ბატონია, მწერალი კი მისი ყურ-მოჭრილი ყმა, და, აბა, ბატონის ბრძანებას საღ წაუხელო... საითაც მკითხველი მოისურვებს, ჩვენც იქით გამოვაბამთ ლიტრას ყურსა; დღეს გვეტყვიან — შავს თეთრი დაღუბნითა, ჩვენც ვეტყვი: „ბალი-ალოა!“ ხვალ საქებურს კაცს ლანძღვას დაუწყებენ, ჩვენც ბანს მიესცემთ, კვერს დაუეკრათ ო სულ ტვალსაში ამაგსეაით!“ („ივერია“ № 1, 1892 წ.). ამაზედ მეტი სადა, ჩხილი და გულ-უბრყვილობის ნიმუში კიდევ-ლა გნებავთ, მკითხველზე არა, განგვათავისუფლეთ აქაც მაგალითების მოყვანისაგან....

ღალ, მწერლობა, ან უკედ ვთქვათ, მეგზავთე უნებლიედ აჰყა „მკითხველის ფეხის ხმას, ქარაფშუტულს მიმართულენას“ ქუჩისას და შიედინისას (და არა „სახოგადღობისას და ინტელიგენციისას“; ინტელიგენცია აქ არასფერს შუაშია) და შესაფერს საზრდოსაც აძლევს... ოხუნჯობენ... და რა უაზრო, გათახსნილელი ღირსების ოხუნჯობაა, მერა?! კაცის გონება მწელიად წარმოიდგენს იმ გამოთაყვანებას, გაფუქსავატებას გრძობისას, სიმახვილისას, აზრისას, რომლის შეშხედარე ჩენა ვართ დღეს. ღმერთი ჩემო! ვანა ეს დაცინვა და სრულიად მასხარად ადღე-ბა არ არის ჩენი და ჩენი ლიტერატურისა?... „სწორედ გულ-საკლავი სურათია, — ამბობს კეთილშობილი და ნიჭიერი მწერალი ბ-ნი გრ. ოლსკი, — რომ, ცა აკვირდება კაცი ჩენს ახლანდელს მწერლობას და სახავს იმას ჩენის სახოგადღობის სარკედ, ჩენის გონებითის და ზნეობითის წარმატების საწყაოდ: არა საქმაო ცოდნა, არა საქმაო ნიჭი, არა ენა, — სამწერლოდ თითქმის სრული მოუშხადღელობა, აზრის თამამი თუსუსურობა, სიტყვის აღვირ-წახსნილი სიმკვავე! მთელი ამ დაქუსტებულ რეპორტერთა ნაჯღანბნი ძალიან ჰგავს უწყრთინელის კაცის უსაგნო სიცილს, ანუ მდლოღეობისაგან და კინტუა მძა-ბიკებისაგან თავის „მტრისა და დღეშმანის“ მასხარად ადგენას“. ჭეშმარიტად, რომ ვი, ასეთს ყოფდა... მაგრამ, მაღლობა ღმერთს. ამას იქით წავლს ხომ წარმოუდგენელია. ამაზედ უარეს, უსაშინელეს ყოფას, როგორც ამ წერილის დასაწყისშიაც ვსთქვით, კაცის გონება ვედარ წარმოიდგენს. ნუგეშად მხოლოდ ის-ღა დაგვჩენია, რომ ასეთი ყოფა სხვაგანაც იშვიათი მოვლინება არ ყოფილა. და, ი, რისი მიზნია ასეთი მდგომარეობა. როგორც ლიტერატურა, რომელიც წინაღ ცხოვრებას ფეხ-და-ფეხ მისდევდა და გამოშხატველი სარკე იყო იმის ვითარებისა, თავის აზრსა და დანიშნულებას ლალატობს; როდესაც იგი ძლიერ შორს ჩამორჩენია ვითარების მსვლელობას და მხოლოდ თავ-მოსაჭრელ, შემარცხენელ ოხუნჯობისა და ტაკიმასხარობის ნიმუშებს

იძლევა, მაშინ ცხოვრება ბოლოს უღებს ლიტერატურას; და მას, განადგურებულს სრულიად უყურადღებოდ სტოვებს მანემდის, ვიდრე ერის ცხოვრების შესაფერი მოღაწენი არ დაიწყებენ ლიტერატურაში მუშაობას და გონების წარმატებისსაქმეს ღირსეულად არ უწინამძღვრებენ....


ხომლელო.

### წყაღდიღობა ცფილისში




არსული კვირა მეტად უბედური შეიქნა ქალაქ ცფილისისათვის, თითქმის ყოველ დღე წვიმები იყო. მაგრამ მაისის 11, 12 და 13 რიცხვებში, ნიადღად დღე-ღამე ლეშქარი არ შეწყვეტლა. ამისთანა აშხავე ჯერ არ ნახულა და არც არავინ მოსწრებია. სწორედ წარღნის დღეები იყო მრავალთათვის. ქუჩის ნიადღვრები მთის ხეეებს ემსგავსებოდენ. მტკვარი აწოვიდა კალაპოტიდან და რიყის ადგილები წარღნა. ვორონცოვის ხედის ბურჯები დამღული იყო. მრავალი ქეთვირის შენობები წყალში იყენ მოქცეული. ზოგს ძირი გამოეთხარათ და სახლები ჩამოინგრენ. ზოგიერთ ქუჩებზედ წყალი საყენ-ნახევარ სიმაღლეზედ იღვა, ნიეებით დაცურადენ და იფართუნ ოჯახობას სიკვდილისაგან. სასტუმბის ქვემო სართოლები რიყეების ალავას წყლით აიგრა და აურება ზარალი მიეკათ ვაჭრებს. წყალმა რამდენიმე კაცის სული იმსხვერაპლა, პირუტყვის ჯოგები მოიტაცა, სახერხავი ქარხნები დაანგროია, აურება ხეტყე წაღო და ქარხნების პატრონები ცარიელზედ დასვა მრავალი. შეუძლო ხალხი დარჩა თავშეუფარებელი და ყოველ ქონებისაგან გაცილილი. მაისის 14-ს ქალაქის გამგეობამ ყრილობა მოახდინა, რომ გაკვირებულებს და უღუქმეაპურიად დარჩნილებს ქალაქს ხელი გაუმართოს ფულის შეშყობითა. ქალაქის საბჭომ ამ სხდომაზე ვადასწყვიტა შემდგომ: ა) მიეცეს მეტად დაზარალებულებს ორასი თუმანი, ბ) აღმოიჩინეს სამი, თუ ოთხი ხმოსანი, რომელთაც მიენდობათ ამ ფულის დარიგება და გ) ვიშიართოს ხელის-მოწერით მოწყალების მოგროვება ღარიბ დაზარალებულთათვის ხელის-გასამართავად.

ამას გარდა, საბჭომ ვადასწყვიტა, რომ ის სარდაფები და სახლები, საცა წყალი შეგარდნილა, საქარად ვაშროან და შლამისგან ვასქმინდონ, რადგან ასეთი ვარემოება ძალიან ხელს შეუწყობს — საოფელსა და ხურეების ვაჩენასაო.




მსოფლიო გამოფენის გაშვების სსახლუ.



ხედიანების სსახლუ.





დედაკატო წარმოების სისხლე

## კოლუმბის მსოფლიო გამოფენა ჩიკაგოში

(განგრძობა) \*

ღმრთაველითსაკენ მარჯვნივ და მარცხნივ ხელოვნების სასახლეს შემოხვევიან მრავალი შენობები. თითოეული ამა შენობისა განახლების დროის (renaissance) ნიმუშებზედ არის აგებული და აკვირებს მნახველს თავისებური სიშვენიერით. ყოველს შენობას თავის განსაკუთრებული დანიშნულება აქვს თანახმად წარმოებისა და მრავალნაირის მრეწველობისა. მავალითად მანდელუობის მოპოებისათვის ცალკე შენობაა, საცა თქვენ შეხედებით უზარმაზარ მანდების გასაძრობს და გასაჭედს ქურებს. ბალსნობის შენობა ცალკე დგას, საელექტრონო წარმოებას თავის შესაფერი შენობა აქვს; თევზების საეპრო შენობა კიდევ ცალკეა, მერე მოსაშენებელი სახლი თავის აუზებით, მეურნეობის სასახლე, მანქანების შენობა, შვენიერ ხელოვნებათა სასახლე: მუსიკისა, ჩუქურთმისა, ხელოთ-მოძღვრობისა, მხატვრობისა, ხე-ტყის შენობა და ამერიკაში ფრიად შესანიშნავის ღ ერცელის სახერხე-წარმოებისათვის აგებული შენობა. ამ მრავალგვარ შენობას მიჰყვება შერთებულ შტატების მთავრობის პირთა დასადგომი სასახლე, რომელიც მოაგანებს კაცს ეაშინგტონის გამგეობის სასახლეს „კაპიტოლიას“. ამათ შორის განსაკუთრებით წარჩინებულია გარეკანი სიერციით, სიკვლუციით და ლაზათობით დედაკატო წარმოების

სასახლე. ამისთანა რამე ჯერ უწინდელს მსოფლიო გამოფენაზედ არა ყოფილა აგებული.

ამ სასახლეს მეტად უცხო შეხედულობა აქვს და სწორედ შეფერება შეწერიებათა სქესის სინარჩარებს, რომელმაც განსაკუთრებით ამერიკაში თავი იჩინა, სახელდობრ იქ, სადაც დედაკაცის გათანასწორება მამაკაცთან პოლიტიკურსა და სამოქალაქო უფლებათაში შეადგენს ამერიკის განათლების გეოგრაფიასა მეცხრამეტე საუკუნის გასულს. ყველაზედ ყურადღების ღირსი ის არის, რომ ამ სასახლის გეგმა მეცნიერ ამერიკის დედაკაცებისაგან არის მოხაზული და შედგენილი, და მხოლოდ დედაკაცის ხელოვნებით და მისი ნაწარმოებით შეიგნით და გარეთ მორთული, ამ სასახლეს მარტო დედაკაცები განაგებენ. აქ არის იმათი სრული მეფობა. თქვენ აქ ნახეთ მხოლოდ ქალების ხელობას, მათ ხელსაქმეს და ნაქეთებს, რომელნიც გამოუზაფენიათ ყოველის ქვეყნის კუთხიდან მოსაქმე დედაკაცებს. ქალთა საზოგადოების თავისმჯღომარემ წარსული წლის ოკტომბრის სხდომაში, როცა უნდა ედღესასწაულნათ ამ დედაკატო ნაწარმოების სასახლის გათავება, განაცხადა, რომ ჩვენ ნაწარმოების გამოფენით უნდა დეუმტკიცოთ ქვეყნას, რომ ამერიკამ და მხოლოდ ამერიკამ ჩასლვა საძირკველი დედაკაცის გათანასწორებისა ყოველ საზოგადო საქმეში მამაკაცთან და ამ მხრით მართლაც ამერიკამ აღმოაჩინა დედაკაცთა პიროვნება, მისი ღირსება და ეს აღმოჩენა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის არის კაცობრიობისათვის, ვიდრე კოლუმბის მიერ აღმოჩენა თვით ამერიკისა.

\* იხილეთ „კვალის“ №19

ამერიკელ დედა-კაცების სასიქადლოდ ესეც უნდა ითქვას, რომ იმათ ამ კოლუმბუს მსოფლიო გამოფენის თაოსნობით ცხადად დაანახევს სხვა ქვეყნების დედა-კაცებს, რომ ჩვენ ამერიკელს ქალებს რაც ყოფა-ცხოვრება გვაქვს, თქვენ ამისთანა სვეს ჯერ კიდევ დიდხანს ვერ ეღირსებოთ.

ზემოხსენებულ შენობებს გარდა ყოველმა ამერიკის შტატმა თავის წარმოების გამოსაფენად განსაკუთრებული სასახლე ალაგა. აგრეთვე მრავალ უცხო ქვეყნის სახელმწიფოებისა და მათი წარმოებისათვის ცალ-ცალკე სასახლეებია აშენებული. ხუროთმოძღვრების მხრივ საუკეთესოა შენობად მიუცალღებლად უნდა ჩაითვალოს მსოფლიო გამოფენის გამგეობის სასახლე, რომლის გვემაც შეუდგენია ხუროთმოძღვარს ჰუნტსა. ამ სასახლეს სიერაც აქვს ორმოცდაცამეტი საყენი ირგვლივ, რომელსაც თავზედ ხუთი საყენის სიმაღლე გუმბათი ჰხურავს. განი ამ გუმბათისა ჩვიდმეტი საყენია. ოთხივე კუთხივე შემოწყობილი აქვს თითო პავილიონი, ანუ კუბოკრული ფარდული, სხვა-ღ-სხვა საჭიროებისათვის. ერთში არიან დაწყობილი ცეცხლის გამქრობნი მოწყობილებანი და შიგ მოთავსებულა ზოლიციის მთავრობა, მეორეში ჯანის სასიმრთელო მოწყობილობაა გამართული, მესამეშია აფთიაკი, ექიმების სადგომები, საავად-მყოფო ოთახები და სხვ. მესამეში ზარაფხანაა გამართული უცხო ქვეყნებისათვის, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ფულები ახურდონ უცხო სტუმრების ზღლის-გასამართავად და მეოთხე ფარდულში სასტუმროა და რესტორაკია იქნება გამართული.

მეორე სახელში არის დარბაზი და ცალკე სადგომები გამოფენის გამგეობის თავმჯდომარეობისათვის, ღწერალ-ღრიექტორისათვის და ამათი კანცელარიებისათვის.

ბოლოს ისიც უნდა მოვისხენიოთ, რომ აქვე ამ გამოფენაზედ დიდშენი და შენეირი ცხოველთწალკოტია გამართული, სადაც მრავალი ტყის ნადირი და მხეცები იქნებიან დაბინავებულნი; სხვათა შორის გამოჩენილმა მხეცების დამაშვიდებელმა პავენბეკმა წაასხა მრავალი ლომი, ეფუბი, აფთარი და სხვა გვარი მხეცები.

იალყმა პასუსი



ვერის № 91-ში დაბეჭდილია ერთი კრიმინული სტატია, „გაზუიადებული პრეტენზია“, რომელსაც პასუსი არ უჭერსხედება. იმისი წინააღმდეგობა ისეთივე ძნელია, როგორც ხელ-ფეხ-

შეკრული კაცისაგან ბრძოლა და წინააღმდეგობა იმ რაინდისა, რომელიც თავისუფლად ნაფარობს საზოგილეზე, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი და ზურგ-გამავარებული.

იმ სტატიისათვის რედაქციას შემდეგი სხოლიო მიუცია: „დაწერილია იმ სიტყვის გამო, რომელიც წარმოთქმულ იქნა სკოლის კრებაზე 24 აპრილსა“. რა სიტყვა იყო ის სიტყვა, ამას არ გვეუბნებიან არც ავტორი და არც რედაქცია, მაგრამ როგორც მათის მრისხანებთან სჩანს, საშინელება რამე კი უნდა ყოფილიყო!...

სხვათა შორის, აი, რას ამბობს ავტორი: „ყველა, ვინც ახლანდელ სკოლის პროგრამის სრულ სიკეთეზე იჭეი შეიტანა, ვინც გაბედა იმისი გამოცხადება, რომ იქნება ცას ქვეშეთში კიდევ არსებობდეს ჩვენს სკოლაზე უკეთესი სასწავლებელი, სკოლის პროგრამის მომხრეთაგან ჩარიცხულ იქნა იუდას თანა-ზიარად, სამზობლოს მოღალატეზად და სხ...“ — ჩვენ რომ იმ კრებაზედ არ დავსწრებოდით და სიტყუაც თვითონ ჩვენ არ გამოგვეთქვა, ხომ მართლა რალაც გვეგონებოდა რა რასაც აქ გვეწამებოდა, მისი მესვლიდი რომ დაგვეჯერებოდა, მოტყუებული დავრჩებოდით.. მაგრამ ახლა კი ამის მეტი აღარა გვეთქმის რა: „ღიღ-ზარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნია“.

გარეთ გამოტანილი სიტყვა და მერე ერთისაგან მეორესადმი ვადაწაცემი ისე იზრდება, როგორც მათის წვეროდან დაგორებული თოვლის გუნდა: თანდა-თან დიდდება და ბოლოს სრულიადაც ჰკარგავს თავის თვე-და-პირველ სახეს!... სწორედ ასე მოუვიდა იმ ჩვენ სიტყვასაც. თანაც ზედმეტად სტამბის ბეჭედით დავსევა.— და ამის გამო იძულებული ვართ ქეშპირების ასადვენად ის ჩვენი სიტყვა განვიმეოროთ!.. აი, მისი შინაარსი:

„ყველას მოგვხსენებათ, თუ რა ვანსაცდელში იყო იმ თავითვე ჩავარდნილი ჩვენი ქვეყანა: ყოველი კუთხით მომდგარი მტერი ჩაყლაპავს უქადა! —სუყველა რომ არ ჩამოეთვალოთ, საქმობა მარტო ლანგთემური და შახ-ახაზი მოვიგონოთ!.. მუსრს აელედენ საქართველოს, რომ ჩვენი წინაპრებისათვის ხელე აღუდებინებიათ დედა ენაზე, რუჯულზე და ეროვნულ გრძნობაზე, მაგრამ ჩვენმა მამა-პაპებმა გაუძღღეს გასაჭირს, აიტანეს საშინელი ტანჯვა-მონობა და პირნათლად, შეუფლალადეა მოადგენ მეცხრამეტე საუკუნის კარებს!..

ღღეს, როდესაც ძალას აღარაიენ გეტანს და პირაკეთაც გვეუბნებიან: „საზოგადოდ ჩვენ ეიზრუ-

ნებით თქვენთვის და კერძოდ კი თქვენვე მოუარეთ თქვენს თავსაჲ, ჩვენის ნებით თვითონვე ვიღებთ ხელს თავზე და ის აღარა ვართ, რაც ვიცავით და ან რათაც უნდა ვიყოთ! ეს მისი ბრალია, რომ დღეს პირობები გამოიცვალა: ძველი სკოლები აღარა გვაქვს და დიდი ოჯახებშიც სხვა გზას დაადგინა. — წარსულთან არა თუ გასწვრივით ვაჭირი, დღეს დღე-ღინაზე ლაპარაკსა ევლარ ვებრუნებთ. ეს დიდი ნაწლია... თითქმის სიკვდილის თანასწორია და რომ ეს ნაკლი შეგვეცნო, იძულებული შევიქნებით ეს სკოლა დაგვეარსებია. — მართალია, აქედან ვერც ფილოსოფოსები გამოვლენ, ვერც დიდი მსოფლიო მენეჯერები, მაგრამ ამ აზრით არც დაგვიარსებია: ეს არის პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, იმ გვარივე როგორც სხვა სასწავლებლები, მხოლოდ დედა ენაზე საცნების შესწავლა ზედ-მეტია, რომელიც არა თუ არის უშლის, კიდევ ემზარება ყმაწვილს გრძნობა-გრძნობის განვითარებაში. აქედან ყველას შეუძლია გადავიდეს სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და იქ დაასრულოს უმაღლესი სწავლა, ისე როგორც დღემდე დაუსრულებია და ასრულებენ ჩვენები! — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თავ-და-პირველად ამ სკოლაში გამოვლილებს სხვისი შეთვისება გაუადვილებდა და თავის თავზედ არ იქნებოდა ხელ-აღებულები. დიდი მოწვალბა გვიყო, ვინც ამ გვარი სკოლა მოგვანიჭა და არ ვიცი, რა მიზეზია, რომ ჩვენ ვეწუნობთ და აეტყვიართ? ეს ერთი ხანია, აუჩივლდენ ზოგიერთები და ცდილობენ, რომ სხვა გვარად გადადავიყონ! ამ განძრახებით ბევრი რამ დაიწერა, ბევრი რამ წამოითქვა და ჩვენ მხოლოდ ის აზრი გამოვიტანეთ, რომ მხოლოდ ზედაპირს მიჩერებიან და სარჩული კი ყველას ავიწყდება... ჩვენის აზრით, ეს დიდი შეცდომა არის და ვინც იმას ცდილობს, რომ ამ ჩვენ ერთად ერთს სკოლას თავისი სახე და ფერი დააკარგინოს, ის მოყვარობას კი არა, მტრობას გვიწყვეს. აი, ეს იყო ჩვენგან წამოთქმული წმინდის გულით. აქ არც საარჩევნო ხრიკები რამ ყოფილა და არც სხვისი ჩაოანება. დღესაც ამ აზრს ვადგევართ და თუ შემეცლარი ვართ, ეს სულ სხვა არის!., როდესაც დავემიტკიცებენ შეცდომას, მაშინ ჩვენც აღარას ვიტყვით, თორემ ბატონობით, მუქარით და ცილის წამებით ჩვენ კრიკას ვერაინ ავავიკრავს!.. ეს ჩემი აზრები რომ წარმოვსთქვი, აქვე იმ კრებაშივე ერთ-მა განსმე ვადასახუფერა ჩვენი სიტყვები და საჩივრით მიმპარა კრებას: „ბატონებო, ჩვენ მოღალატეს გვეცხიან, შახაბაზად და ლანგთემურად გვთვლიანო და სხვანი...“ ეს მოულოდნელი და ოცნებით წარ-

მოდგენილი საჩივარი საზოგადოდ გასაკვირველი იყო, მაგრამ ჩვენ არ გავკვირვებია, რადგანაც იქ სხვა ბისმარკობასა ეხებოდათ. ზოგიერთები რომ აპყვენ ამ ერთს განსმე — ისიც არაფერი!... ვარეთ რომ გამოიტანეს და თვითონ გუნდასავით გავზარდეს, ცნეს ასე უნდა ყოფილიყო... მაგრამ „იყერიამ“ რომ ზედ ბეჭედ დანსავა და ბანი მისცა, ეს კი აღარ გვეკუწნიკავსა ორბელიანის სიბრძნე-სიკრულემო, რომ მოხსენებული ურია არის, სწორედ იმ ურიას დღემდე უნდა ჩავგავდოს „იყერიამ“, როდესაც გვეკითხება: „ვინ აღილო მახელი ჩვენ შორის და ვისგან მოგველის შიშო.“ დღეს ჩვენ ამაზედ არას ვუპასუხებთ, რადგანაც უჩვენოთაც მიიღვენ პასუხს და მაშინ აღარ სთქვან კი, არ ვიცოდითო, „არ გვეგონა“ უჩვენოთაც მაინც ასე მოხდებოდაო და სხვანი...

ამ გვარი პასუხები ბევრჯელ გავვიგონია ზოგიერთ რაინდებისგან.

— ახლა პირიქით ჩვენა ვკითხავთ რედაქციას: ვის და როდის დაუთქმებთ ჩვენ: ან ლანგთემური, ან შახაბაზი, ან მოლადატე და ან იუდას თანახარი? ჩვენ მხოლოდ ერთი სიტყვა ვინმართ „ვინც“ და ნუ თუ ამდენი რამეები და ვინმეები ამ პატარა განყენებულ სიტყვაში „ვინცში“ იხატება? და რომ კიდევ იხატებოდეს, რად ვინმე იღებს თავის თავზე? „უადგილითა და უღროვით იყო ნახპარი ვე ვინც-ცოა“ ბრძანებენ. და გვიკვირს, რომ ამ სიტყვაზედ განერებულან, სხვები კი დავიწყებით!... განა ცოტა რამ წარმოითქვა სკოლისა და მათის მასწავლებლები და ღიად რივიანმა კაცმა: „საპირადო ანგარიშში ნუ შევამტვსთ საზოგადო საქმე, თორემ ბოლოს ინანებთო. ნუ დავავიწყებთ ანდაზა: „აქლემები წაიკიდენ და კოზაკი შუაში გამოხრისესო“. ეს მოისმინეს და არაის არ უთქვამს, თუ აქლემებს გვეძახისო. მეორემ ამ კრებაზე დაბეჯითებით წარმოთქვა, რომ ამ სკოლიდან გამოსულ ყმაწვილებს თქვენ ნახავთ დამნაშავეთა სკამებზე მჯდომარედ სამსაჯავროს წინაშეო! ამისთანები ბევრი რამ წარმოითქვა და ზოგიერთები „ვაშა-ვაშას“ ძახილითა და ტაშის კრით მივებენ, მაშინ როდესაც ჩვენ მხოლოდ დიმილით მოვისმინეთ და არა გვითქვამს რა... და ჩვენ კი ერთ უბრალო სიტყვას „ვინცის“ თქმას არ გავაბედინებენ, რადგანაც წარმოუდგენიათ, რომ, ვითომც, ვილაც მეთაურებს უნდა ეხებოდესო. — ნურაფერს უკაცრავად კი და ჩვენ ყველა, როგორც მათი მეთაურები, ისე ჩვენიც, ხის ფურცლებად მიგვანიძა!.. გინდ დიდი იყოს, გინდ პატარა, წრულ დაკინდებიან და

გაის სხვა გამოვა მათ ნაკვალად.. ხე კი ისევ ხეთა  
რჩება და ჩვენც იმის ძირსა და ფსევებს შეეჩერები-  
ვართ ჩვენ მხოლოდ გულში გვედება წინასწარმე-  
ტყველის სიტყვები: «ყოალი კაცი ცრუ არს, რა მი-  
ვაგოთ უფალსა» და პირადად პასუს აღარ გაესცემთ,  
რაც უნდა გვიწერონ და გვიციენონ და თუ მათი  
რანდობა იმდენზედაც მიაწევს, რომ სხვებთანაც და-  
გვეჭირდება პასუხის-გება, ამას უსტამბოთაც მოვახერ-  
ხებთ.

აკაკი

### ზანას ცრემლები

(სეტყვის გამო)



ეთის გარეგანი დრო იქნა  
გულში, საღამო ხანზედა,  
მაშინვე გულმა გამოგრა:  
ცა გვატყდებოდა თავზედა!  
ცულად დაეცადე ოხერი  
თვალის ფრიალი ძალზედა.

ესთქვი: ღმერთო, ნურას გვახილებ,  
შენს სახელს ვენაცულობი!  
გამოეისახე პირსჯეარი,  
ცას შევაჩერე თვალეგი;  
მემრე დაეაზხე მიწაზე  
ეს ჩემი ბერი ძვალეგი.

მაგრამ რას იზამ, როდესაც  
ლეთისაგან განგებულაი:  
უნდა დაირბას ქვეყანა,  
ასრულდეს ქადებულაი.  
ცოდევა გამრავლა: სოფელი  
ღვართაგან წაღებულაი.

ეშმაკმა ჩამოიარა..  
ცამ შეკრა ყველა ნაბირი.  
მოვიდა დაღისტნიდანა  
ღრუბელი, როგორც ნახშირი.  
დაიგრიალა, გვეგონა  
ი მეორ-მოსვლის საყვირი!

შაოითვე გამოემართა  
ქექა-ქუხილით, ელეთა;  
მიწას გააკრა ყანები,  
მოხნული გუთნით ბეჭითა.  
გაძლა წყეული ყორანი  
კლდეზე გადაყრილთ ხელითა!..

ნეტა რად გაეინაწყრომეთ  
#ადგილის დედა\* ჩენია,

რომ მოგვივლინა სასჯელად  
სეტყვა დაშქევი, ძნელია!  
აღბად შეესცადეთ დალოცვილს,  
საღმთო დაეკლეთ ძღვენია!..

მე რომ დაეიქეც, ნუ იტყვით,  
ცეცხლზე დამესხა წყალია!  
სიმშოი თავისად იყოს,  
სხვად ვარ შესაბრალია—  
ვერ შევიმაგრე ცრემლები,  
ალარა მშრება თვალაი!

შეჩვენებულმა სეტყვამა  
გამამიჯარა კარია:  
გადამიჯარა კლდეზედა  
სამი მანძილა ხარია.

რა მეშველება კულევა,  
წელს იმ ხარებით ეზნაია!..  
რა არ მინახავს ზეგასა,  
რა დღე არ გამოამივლია:  
სიკდილობა და ობლობა,  
მრავალი ცრემლი, სისხლია,  
მაგრამ ამდენი მღულარე  
მე არაოდეს მიღვრია!

სულ დამაეიწყეს ოხრებმა  
ერთი ძმა, ორი შეილია.  
გამოვერჩიე ყოველგან,  
სადაც-კი მელა წილია.  
ნურაინ დამგომობ ამაზე,  
ნუ მეტყვიით: რადა სტორია?  
ქალარა თმისა მცხენია,  
მართალს ვერ გავებათილებ:  
მით ვიცრემლები, რომ კეთილს,  
ვაცი, მე ველარ ეხილებ!  
ჭირს მოვიფონებ ამითა,  
თუ ცოტას მანიც ვიტორებ..

მაშ არა მმართებს ტირილი?  
როგორ-ღა ვაესწე უღელსა:  
გადეხიბი მძიძე ყალანსა,\*)  
ვემსახურები სოფელსა,  
ან შევეწევი საწყალს და  
გაპირებაში მყოფელსა?!

რა გვეშველება, ვაიმე!  
სოფელს, ჩვენ ოჯახობასა?  
შომშოი დაგვლევს, ვინ იღებს  
კისრად ჩვენს გამოძობასა?  
ვინ შეგვიბრალვებს, მოგვხედდეს,  
ვინ გვიზამს მამა-ძმობასა?!

ზეზვა

\*) ყალანი ბეგარას ნიშნავს.

### მიერე შენიშვნები



ვერის ყბად ამღები, სირობილი ღრამატი-  
კოსი პაატა, გეწამებს სიკრუეს, ვითომც ბა-  
ნკის გამგეობას სტუდენტების შეწეწის წინა-  
აღმდეგ არ ელაპარაკოს.

„რა აზრი აქვსო ასეთი სიკრუეს გავრცელებას გა-  
ზეთის საშუალებით? — გვეკითხება ბ-ნი პაატა და შემ-  
დეგ ასე არწმუნებს თავის მკითხველებს: „არა დამსწრე-  
თა ცოტათი თუ ბევრად გაზეთის საშუალებით შეიტყეს,  
რომ არადიოთარი წინააღმდეგობა ბანკის გამგეობას  
არ უღაღინა, რომ სტუდენტებს ნუ მიეცემთ ფუ-  
ლსო...“

მაშ რა ილაღადეს?

— აი, რა ილაღადესო. — გვიპასუხებს შეწეწიერი  
ლოლიკის პატრონი პაატა: „თუმცა დიდის მწუსარე-  
ბით, მაგრამ მაინც უფრო უნდა ეთქვასო იმ აუარე-  
ბელ მთხოველთ. — უფრო უნდა ეთქვასო სათავად-აზ-  
ნაურო სკოლის მასწავლებელთ, თვით სკოლასაც,  
რაც კი შესაძლებელია, ხარჯი უნდა შეფუძერდეს  
და... სტუდენტებსაც უფრო ეთქვასო, თუმცა ამ უა-  
რის თქმის დროს ყოველს ჩვენგანს გული ეთოქმე-  
ბა, მაგრამ რას ვიზამთ?.. არა, მოვიცადოთ ცოტაც,  
სადაც ამდენი გვიცდია, საქმეები გაეასწოროთ, დახლო-  
ფული ბლომატ მოეგაროვოთ, რომ მიერე ერთსა და  
ორს სტუდენტს კი არა, ასსა და ათასს მოეგმარო-  
თო.“ ჩვენც ზომ ევა ეთქვით, მაშ სიკრუე არა ყო-  
ფილა!



ეს ზემოხსენებული ამბავი მომაგონებს ერთს  
პირწყლიანს და მეტად მაღა-გაღვიძებულს ღედინა-  
ცვალს, რომელსაც თაროში ყოველთვის ქაღები  
ჰქონდა თავისთვის შენახული და ერთ ლუკმასაც არ  
წყუტებდა თავის პაწია გრას; ის საწყალი კი ღედინა-  
ნაცვალს ჰაბის დროს იწინადავ პირში შესტკეოდა  
და ტირილით შესჩივოდა: „ღედა მშია, ღედა მშიაო!“  
„გულ-დათუთქული“ ღედინაცვალი ასე ანუგეშებდა:

ნუ სტირი, შეილა, ნუ სტირი,  
მოვა გოკის ხუთშაბათი,  
დაგვლავ გოკსა  
მოგვემ ფეხსა  
მსუქანსა და მარჯვენასა,  
გასაძლობს და მარგებელსა.

მაგრამ დამშეულმა გერმა ვეღარ მიიტანა გო-  
კის ხუთშაბათამდის და ფეხი გაეჭიმა. ვაი, თუ სტუ-  
დენტებსაც და ჩვენ სკოლასაც ასე მოუვიდეს.



ფეიქარმა ვაგდლო მაქო და თქვა: „ჯერ არ შე-  
უტყვიათო, ჯერ არ შეუტყვიათო!“ ბ-ნი მეველე წა-

რსულის კვირის მეთაურს წერილში გულ-მარტივად  
აბრალებს ქართული ხელ-სამძღვანელოების უქონ-  
ლობას, რომ ამიერიდან ტუთლისის სახელოსნოსკო-  
ლაში რუსულად უნდა ასწავლიდნენ, თუმცა მთავ-  
რობისგან დამტკიცებული პროგრამა ითხოვს ქართუ-  
ლად სწავლებასო. რაკი ბ-ნი მეველე დარწმუნებულა,  
რომ ასეთი გარემოების მიზეზი მხოლოდ ქართულ  
ენაზედ ხელ-სამძღვანელოების უქონლობა ყოფილა,  
შემდეგ მოპყვება ჩვენი განათლებული ახალგაზღო-  
ბის კიტხვას, ვითომც სულ მისი უღარდებლობის ბრა-  
ლიაო, რომ აქამომდე ქართულ ენაზე ხელსამძღვა-  
ნელოები არა ევაქესო. ალბად ბ-ნი მეველემ არ  
იცის, რომ ქართულ ენაზედ ხელსამძღვანელოები  
არიან, მაგალითად არითმეტიკისა, გეომეტრიისა, სა-  
ღეთო სჯულისა, ისტორიისა, ქიმიისა და სხვ. ეს კი-  
დედ რა? ბ-ნი მეველის მწუხარების მოსაფონებლად  
პირობას მიეცემთ, რომ ნახევარის წლის განმავლობაში  
ყოველ სასწავლო საგანზედ საუკეთესო ხელ-სა-  
მძღვანელოების თარგმანს ქართულ ენაზედ ჩავაბა-  
რებთ, ოღონდ კი ბ-ნი მეველემ სიტყვა მოგვეცეს,  
რომ ეს ხელ-სამძღვანელოები თაროებზე და განჯი-  
ნებში დებთ არ დაღებოიან. ამ შემთხვევაში ბ-ნი  
მეველის გულის-წყრომით ლაპარაკი და ახალგაზ-  
ღობის ზრალდება მომაგონებს ძველს მკურნალობის  
მეცნიერებას, რომელიც ქადაგებდა, რომ ყოველი  
მომაკვდავი სენი ეშმაკისა და ავი სულის ბრალიო,  
რადგან იგი კაცის ტანში შედის და ქენჯნისო.

\* \* \*  
(ქინისი)



ომეც ხელი! გულზედ დამადე ჩქარა!  
სუ! არ გესმის იქ ელაც არახუნებს?  
იქ კუთხეში მეკუბოვე მიმჯდარა  
და ბოროტი ჩემთვის კუბოს ავეთებს.

არახუნებს განუწყვეტლივ დღე და ღამ...  
ძილი მიწდა, რახუნით მაქვს გამკრთალი.  
ჰე, ოსტატო! დროა მორჩე საქმესა!  
მომახსენო, დრო არის დამაშერალი!

ი. ბაქაძე.

### სომხების ცნობარებიდან



ქანასწელ წლებში სომხთა განათლებულმა  
და მოწინავე თაობამ გამოიჩინა სურვილი  
ქართველებთან დაახლოებისა. აღმოჩნდნენ  
ისეთი ახალგაზღვრები, რომელთაც იციან უკრავდ ქარ-  
თული ენა, დაიწყეს შესწავლა ქართული ლიტერა-

ტურისა, რომ შემდეგ გააცნონ სომხობა ქართულ განათლების მოძრაობას. იმათის აზრით ერთი საუკეთესო წყაროთაგანი ხალხის ცხოვრებისა და მიმართულების შესწავლისა უნდა იყოს მისი გონების ნაწარმოების გაცნობა. ამასთანავე სომხის ახალგაზღვრებამ შეიგნო ის აზრი, რომ ორისავე მეზობლურ ხალხის კეთილ-მდგომარეობისათვის საჭიროა ერთმანეთთან დაახლოება და ამ განზრახვით სომხის რედაქციებმა „მშაქისა“ და „მურჩისა“ წარსდგეს კიდევ პირველი ნაბიჯი.

ამ წელს პირველად სომხურს ტურნალს „მურჩ“-ში აღმოჩნდა ბ-ნი მ. ნავასარდიანი, რომელმაც გადათარგმნა სომხურს ენაზედ რამდენიმე შედევრი მოთხრობა, ქართულს ენაზედ ნაწერი, მაგალითად ყაზბეგის მოთხრობა „ელისა“, რომელიც კიდევ დაბეჭდა. იმავე ტურნალის მომავალს ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე იმავე მწერლის მოთხრობა „ელგუჯა“. წარსულის წლის განეთის „მშაქის“ ზე „ტარაზის“ ნომერებში გამოდიოდა ბ-ნი ტ. ფირუმანჯის წერილები, რომლებშიაც იგი ესებოდა ქართულ ლიტერატურის ისტორიას. წარსულის წლის „მურჩის“ ნომერებში დაიბეჭდა მისივე ნათარგმნი მოთხრობა თ.ი. ქაქავაძისა: „კაცია აღმინანი?“. სომხური ნახატებიანი ტურნალის „ტარაზის“ ნომერებში გამოვიდა ქართულის ენისა და ლიტერატურის მკვლევან ბ-ნი ა. მირიმანიანის შედევრი წერილი ქართველების შესახებ. ამ წერილებში ბ-ნი მირიმანიანი ამტკიცებს, რომ საჭიროა ქართველების ეთარება ვაჟა-ფშაველას და ქართველებსაც სთხოვს, რომ იმათაც სომხები გააცნონ თავიანთს ერსა იმ განზრახვით რომ ამ ორმა ხალხმა ერთმანეთში დააარსოს სიძულვილის მაგივრად ურთიერთობა, „შერიგება, შეთანხმება, შეკავშირება.“ მეც ამ განზრახვით მიიღა ვაჭეთს „კელში“ ეწერო დრო-გამოშვებით სომხების შესახებ, რომ სომეხთა საპოლიტიკო, სალიტერატურო და საზოგადო ცხოვრება დაწერილობით შეიტყობ ქართველებმა და ბერიკი მათი კარგი მხარე შეითვისონ და კულს თავი მოარჩინონ.



სუვე გავიდა ორი წელიწადი, რაც ახალი სომხის სახელმძღვანელო სათვარტო დასი შესდგა. სომხებმა იმათვის ფულიც მოაგროვეს, მაგრამ ამ ფულით სომხის მსახიობთა მხოლოდ ერთ წელიწადს გაიტანეს თავი. 1892—1893 წ. ამოჰყო თავი ინტრიგებმა. სხვათა შორის ღირსეული ნიჭიერი მოთამაშეც არავინ იყო. ამის გამო ერთი მხრით საზოგადოება გულ-გრილად მდგამყოფი თეატრს და მვირე მხრით აქტივობებსაც ხალხის დეკლარატო წარმოიღერისათვის. ამ ყოფით გავიდა ზამთარი და სომხის თეატრი დღემდე იმავე

მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც ამ ორის წლის წინაჲდ იყო. დღეს სომხურს თეატრს ღონე არა აქვს კაი აქტივობების შენახვისა. დღევანდლამდის არ ვიცით, რასა ფიქრობს სომხის თეატრის კომიტეტი მომავალ წლისთვის. ამის გამო ნახატებთანაჲდ ყურნალმა „ტარაზმა“ ამ წლის მე-16 №-ში დაბეჭდა შემდეგი: „ქართველებისაგან მავალითს რატომ არ ვიღებთო? ჩვენ ჯერ არც კი ვეფიქრება მომავლის წლისათვის სათვარტო დასის შედგენა; ქართველებს კი, არამც თუ მომზადებული ჰყავთ აქტივობების დასი, არამედ იმაზედაც კი ფიქრობენ, თუ რა გზით მიიზილან საზოგადოების ყურადღებამა. იმათ სურთ მოიწვიონ ქართველთა გამოჩენილი აქტივობი მესხი რეისორად და იმისი და აქტივისად. მომავალს წელს გასსულდება ოც-და-თუთხმეტე წელიწადი სომხურის თეატრის არსებობისა და დღემდის კიდევ ვერ გამოსულა უნუგეშო მდგომარეობიდან.“

წინა წლებში ქართველებს ევრაზედ ჰქონდათ გამართული სახალხო თეატრი; მანგაირისავე თეატრის დაარსებას აპირებენ რუსები ბაქოში და სომხები ტფილისში.



ამ წლის ნოემბრის 29-ში სრულდება სომხის პოეტის, მ. პეშკოთაშვილიანის სიკვდილის 25 წელიწადი (1828 წ.—1868 წ.) ეს არის სომხის იმ პოეტოთაგანი, რომლის სასიმღერო ლექსები დაუსწავლია ხალხს და ყოველგან იმღერის. ამ პოეტის სიმღერები მრავალს მასალას იძლევა ახლის მოტივების შესადგენად. მის სიმღერებს გავლენა ჰქონია არა თუ მხოლოდ დასაუფეთისა, არამედ აღმოსავლეთის სომხების ლირიკულს პოეზიაზედ. ამ პოეტის თხზულებათა სავანი ძმობი სიყვარულია. მისი ლექსები მხოლოდ ამ გრძნობას დაძვერაინა.

სომხურს ენაზედ ჯერ არ არის დაბეჭდილი მ. პეშკოთაშვილიანის სრული პოეზიათა; მხოლოდ თითო ოროლა ცნობები მისის ცხოვრებისა აქაჲდ გავანტულია სომხურს პერიოდულს გამოცემაში.



ღიდი ხანი არ არის, რაც სომხის მწერლის შანთის პოემა „მთის ქალი“ დაიბეჭდა სომხურს ენაზედ. ამ პოემაში აზოციის მთების ბუნება მეტად კლასიკლად და პოეტური გამოხატულებით არის აწერილი. აზოციის მთას სომხები ეძახიან ქედამის ქედსა, საიდანაც გამოდის მდ. მტკვარი. პოემაში ხელოვნურად არის გამოხატული მთის ქალის უმანკო გულის ძეგრა და საგრძნობელი ტრფიალება თავის საყვარლისადმი. მაგრამ უწყალო პედი მთავრად აზოციის ორს მოყვარულს არსებას და ეს განზოგრა მეტად მგრძნო-

ბიარე სიტყვებით არის გამოხატული. ეს პოემა სო-  
მხურის ქურნალის „ტარაზიდან“ არის გადმობეჭდილი  
ცალკე წიგნად და ღირს ორი შუარი.

დ. ტერ-დავითიანი.

\* \*  
(ჭინესი)

**მ**ევილებს მოუწყენიათ...  
ტკბილ ზმანება აღარ მალბენს,  
ბუღბუღლიცა იღუშაღად  
ნაღვლიანად გალობს და სტვენს...

მაშ შენც ნულარ მიღიმდები,  
სჯობს იტირო, სატრფიალო!  
რომ შენს ლაწუნედ ის ცრემლები  
ერთი კოცნით მოვამშრალო.  
ი. ბაქაძე.

**მართული აღმსანდრია**

**მ**როსც შემდეგ საქართველოს წარსულს შე-  
მსწავლელთა ყურადღება მიქცეული იყო ის-  
ტორიული წყაროების გამოქვეყნებასა და გა-  
მოკლევად. კაზმული სიტყვიერების ნაშთები ნა-  
ღვანდ იზიდავდნენ ინტერესს ან სარულიად ჩრდილში  
იყვენ დაყენებულნი. უარყოფა და დამცირება ამ უკა-  
ნასწებელთა მნიშვნელობისა თავიანთურად მოქმედობს  
ისტორიის შესწავლავად. მოგვხსენებათ, რომ საერ-  
თოდ მემატიაინი გულგრილად ეკიდებოდნენ თავის  
ერთ გონების საზღოს და შინაური წეს-წყობილების  
აღწერას. ამიტომაც, მატიაინ დაწერილებით მო-  
გვითხრობს მტერთა შემოსევის და ურთიერთშორის  
ბრძოლის ამბავს და გვერდს უქცევს ერთს ყოფა-  
ცხოვრების აღწერას. „ქართლის ცხოვრება“ არ  
გვაძლევს, მაგალითად ცნობას შოთა რუსთველის  
ნაწერზე და მის ჩამომავლობაზე. ამ გვარი ნაშთე-  
ბიკი, არა ნაკლებ მემატიაინის მოთხრობისა, ნათელ-  
სა ჰყვენ ერთს წარსულს. პოეზიის ნაშთი იგივე მა-  
ტიაინა ახლა ჩვენთვის; იმაში გამოიხატება ერთს შე-  
ხედულება გულის წადილი და იდეალი. ერთს მხრივ  
აპოკრიფიული დიტერატურა, ნათარგმნი ანუ ორი-  
გინალური, მეორის მხრივ კაზმული სიტყვიერება ჩა-

გვახედებს ერთს გულში და გაგვითვალისწინებს მის  
სულიერს ავლა-დიდებას. ამ ორ წყაროზედ დამყარ-  
დება ჩვენი კულტურის შესწავლა, ნათელ-მოფენილი  
არხიტექტურის, მხატვრობის და სხვა ხელოვნებით  
ნაშთების გამოკვლევა.

ერთი ამ გვარი ნაწერთაგანი არის „ისტორია  
ალექსანდრე მაკედონელისა“, ნათარგმნი XVI—XVII  
საუკუნეში. ამ ისტორიის მნიშვნელობა იმაში მდგა-  
მარგობს, რომ მას შემოუვლია თითქმის მთლად  
აღმოსავლეთის და დასავლეთის ერები და არ აცდ-  
ნია ჩვენს ქვეყანასაც, როგორც „ქილილა და მანა“  
„სიბრძნე ბალაფარისა“ შემოუტანიათ ჩვენში და გუ-  
ერცელებით ხალხში. დასამტკიცებლად ალექსანდ-  
რეს ისტორიის გავლენისა ხალხზედ, შევიძლიან დაე-  
სახელოდ საერო თქმულება ალექსანდრეზედ, რომ-  
ლის კემშირი პირველთან ექვს გარეშე არის, რასა-  
კვირვლია, დაწერილებითი შედარება საერო და  
ხელოვნურ თქმულებათა შორის არ შეიძლება მო-  
ხდეს, ვიდრე არ შევთანხმებთ ჩვენამდის მოღწეულს  
„ალექსანდრიას“ პროზად და ლექსად.

„ალექსანდრია“-ს უწოდებენ ალექსანდრე მაკე-  
დონელის ისტორიას, გადაკეთებულს სლავიანების  
ხელმძღვანელობით და განსაკუთრებით სერბიულს  
რედაქციას. ეს სერბიული რედაქცია გავრცელდა  
რუსეთშიაც და შეიძლება აქედან იყოს გადაღებული  
არჩილის მიერ მოთხრობა ალექსანდრეზედ; შემდეგ  
ლექსად გადათქმული იგივე პეტრეს მიერ. ვალექ-  
სილის „ალექსანდრიას“, როგორც ბ-ნი კვიციანიძე  
სწერდა „ცდაში“, სამ ცალად მოუღწევა ჩვენამდის.  
გარდა ამ „ალექსანდრიისა“ მე მაქვს პროზად მო-  
თხრობილი „ისტორია“ ალექსანდრე მაკედონელი-  
სა“. ეს უკანასკნელი, როგორც შედარებამ დაგვარ-  
წმუნა, გადათარგმნილია სერბიული რედაქციისაგან  
მკირედი შემოკლებით. შეიძლება ეს პროზად ნათარ-  
გმნი „ისტორია“ ეკუთვნოდეს არჩილ მეფეს, რო-  
მელიც ცხოვრებად მოსკოვში XVI-XVII საუკ-  
ეს ნათარგმნი უნდა შედარებულ იქმნას ვალექსილ  
„ალექსანდრია“სთან დასამყარებლად იმ პარსისა, ერთის  
დ იმავწყაროდან არიან წარმოდენილი ეს ორი „ალე-  
ქსანდრია“, თუ სხვა-და-სხვა წყარო ჰქონიათ დედნად.  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და-

ცულა ერთი ხელნაწერი, რომელიც მოგვითხრობს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას (კატალოგი, განყოფ. „ისტორია“ № 5). კარგი იქნებოდა, რომ ენსაც ხელი მიუწვდებოდა, გააცნოს მკითხველებს შინაარსი ამ ხელნაწერისა, მოაყვანოს თავი და ბოლო, აღნიშნოს აგრეთვე დედნის სიტყვით ერთი-ორი ალბადი ისტორიიდან. ეს მოგვეცემს შემწობას, შევადაროთ ჩემი პროზად მოთხრობილი ისტორია ალექსანდრესი და ლექსად ვადათქმული წერა-კ. საზოგადოების ხელნაწერი, თუ იგი მართლაც ვალექსილია, როგორც ბ-ნი კვიციანი გვარწმუნებს.

ა. ხახანაშვილი

კერას 23 მაისს მასწავლებელი ქალების საზოგადოება მართავს კლუბის საზაფხულო ბაღში საცმაწელო დღიას, რომელიც დაიწყება 12 საათზე და გათავდება ხუთს საათზე.

**შეგდამის გასწორება:** „კვალს“ მე-19 №-ში ლექსი „რიონი“ შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა: „ღარ სწავს გ ბ ი ს ა დარი“ უნდა იყოს „მ ბ ი ს ა დარი“. „ნატეციების დასთა დასი ი ბ ე ლ და ა ქ ათასი“, უნდა იყოს: „ი რ ე ლ და ა ქ ათასი“. „სტირი მინდვრებს, ვით აღონებ“, უნდა იყოს: „სტირი მინდვრებს, ველთ აღონებ“. „გიშფოთდება გულს ურვანი“, უნდა იყოს: „ი რ ე ლ და ა ქ ათასი“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# ბანსხალუბანი

## საბაღა-სხნა წარმოება

### „როკვი“

მისილ სტეფანეს მის ბეთანიშვილისა

ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის, და სახლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე ისყიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისგამო ბეთანიშვილის ბაღში მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ყამად ორასი ჩანის ვარდისა, ბურბონისა, რემონტატივისა და სხვა ნაირი ვარდების ნერგები. ხეილის ნერგები საუკეთესო რუსეთის რეგობის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭვეული და ლიბნაოს კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირგვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწიანობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთოლი სცივით.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათნავე უფასოდ იგზავნება.

გამოვიდა და ისეიდება

ყველა ქართულ წიგნების მალაზიაში

უილიამ შამსაიკის

ტრაგელისა

## რიქარდ მესავე

ინგლისურიდან ნათარგმნი

იგ. მანაბლასკან

ფასი ორი აბაჯი.

გამოვიდა და ისეიდება ნახატებიანი

## „ვეფხის ტყაოსანი“

„ვეფხის“ რედაქციის გამოცემა

შემუშავებული გ. იოსელიანის მიერ

მთარგმელი ერმთათის

ფასი ხუთი შაური. დაბარება შეიძლება „ვეფხის“ რედაქციიდან.

გამოვიდა ჰინრული და მეორე ტომი

## აკაკი წერეთლის

თხზულების და დაურიგდა გასასეიდად

„წიგნების გამოცემათს ახანაზოგის“ ანაბტბს

ფასი თითო ტომის ერთი მანეთი